მიტროპოლიტმა ილარიონმა სამძიმარი გამოხატა კომპოზიტორ მ. თეოდორაკისის გარდაცვალებასთან დაკავშირებით

2021 წლის 2 სექტემბერს 97 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ბერძენი კომპოზიტორი მიკის თეოდორაკისი. ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს სამძიმრის წერილი გაუგზავნა. წერილში ნათქვამია:

მწუხარებით შევიტყვე თანამედროვეობის გამოჩენილი კომპოზიტორის მიკის თეოდორაკისის გარდაცვალების შესახებ, მიიღეთ ჩემგან გულწრფელი სამძიმარი.

ბერძნული კულტურა შეუძლებელია წარმოიდგინო მიკის თეოდორაკისის მუსიკის გარეშე. მისი მიღწევები მუსიკილური ხელოვნების სფეროში მრავალჯერ იქნა აღნიშნული საერთაშორისო და ეროვნული პრემიებით, მათ შორის, ანდრია პირველწოდებულის სახ. რუსეთის საერთაშორისო პრემიით.

ჩემთვის განსაკუთრებით სამახსოვროა ჩვენი ერთობლივი კონცერტი ათენის ამფეთეატრ „ოროდიონში“ 2012 წელს, როდესაც მე შესაძლებლობა მომეცა, პირადად გავცნობოდი კომპოზიტორს, შემეფასებინა მისი პიროვნების სიღრმე და მასშტაბი.

ლოცვით გისურვებთ ძალისა და სულის სიმტკიცეს, გადაიტანოთ სიმწარე დანაკარგისა. დაე, ყოვლადმოწყალე უფალმა განუსვენოს სული ახლადშესვენებულისა თავის ზეციურ სავანეებში.

თანაგრძნობით,

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების

განყოფილების თავმჯდომარე

ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ილარიონი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87949/